

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ტბელ აბუსერიძის სახელობის სასწავლო  
უნივერსიტეტი

გოგრისა და ქაცვის გამოყენება ბავშვთა კვებაში

მერი მახარაძე

აგრარული მეცნიერების მაგისტრი

სასურსათო ტექნოლოგიებში

ხელმძღვანელი: მირანდა გორგილაძე

აგრარულ მეცნიერებათა დოქტორი

ხიჯაური

## ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილია გოგრისა და ქაცვის ბაზაზე დამზადებული ბავშვთა კვების პროდუქტის შექმნა, რომელიც მდიდარი იქნება ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით - მიკრო და მაკრო ელემენტებით. კვების პროდუქტის გამოკვლევა და მისი დამზადების რეცეპტურისა და ტექნოლოგიის შექმნა.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენდა ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველი მცენარეთა გოგრისა და ქაცვის ხილ-ფაფების მიღება და გამოყენება ბავშვთა კვებაში.

ბავშვთა კვების პროდუქტების ხარისხის გაუმჯობესება, მათი ასორტიმენტის გაფართოება უზრუნველყოფს ბავშვებში ვიტამინების, მიკროელემენტების, იოდის დეფიციტით გამოწვეული სხვადასხვა დაავადებების შემცირებას.

კვლევის მიზანს წარმოადგენდა პირველად შეგვესწავლა გოგრისა და ქაცვის - რომელიც გავრცელებულია საქართველოში, ქიმიური შედგენილობა და მათ ბაზაზე მიღებული ხილფაფების გამოკვლევა მიკრო ელემენტების შემცველობაზე.

გოგრისა და ქაცვის ქიმიური შედგენილობის გამოკვლევისთვის გაყენებულია მოქმედი საერთაშორისო სტანდარტები და სხვადასხვა მეთოდები.

**პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომში წარმოდგენილია გოგრისა და ქაცვის ხილ-ფაფების - (პიურეს) მიღება და გამოყენება ბავშვთა კვებაში.

## Annotation

The master's work presents the creation of baby food product made on the basis of pumpkin and sea-buckthorn, which is rich with biologically active substances - micro and macro elements. Food product research and the creation of a recipe and technology of its production.

The purpose of the work was to receive and use of the plants pumpkin and sea-buckthorn containing biologically active substances in baby food.

To Improve the quality of baby food products, enhance their range of products reduces the number of diseases caused by vitamins, microelements and iodine deficiency in children.

The innovation of the work is that we have first studied chemical composition of pumpkin and sea-buckthorn in Georgia and examine the fruit jams obtained on the basis of micro elements.

Current international standards and different methods are used for researching chemical composition of pumpkin and sea-buckthorn.

Practical meaning. The paper presents to receive and use of fruit jams of pumpkin and sea-buckthorn in baby food.

## სარჩევი

|  |    |
|--|----|
| ანოტაცია .....   | 2  |
| Annotation .....   | 3  |
| შესავალი .....   | 5  |
| სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება .....   | 5  |
| 1. ლიტერატურის მიმოხილვა.....  | 8  |
| სამკურნალო და პროფილაქტიკური დანიშნულების ბავშვთა კვების პროდუქტების შეამნა და მისი გავლენა ჯანმრთელობაზე..... | 8  |
| 2. ბავშვთა კვების პროდუქტების კონსერვირება.....  | 12 |
| 3. ბავშვთა კვების პროდუქტები ხილ- ბოსტნეულის საფუძველზე .....  | 18 |
| 3. 1. ბავშვთა კვების პროდუქტების შექმნისათვის საჭირო ნედლეული -გოგრა .....                                     | 25 |
| 3.1.1. ჩვენს მიერ შერჩეული გოგრის ტექნიკური დახასიათება .... <b>Error! Bookmark not defined.</b>               |    |
| 3.2 ქაცი და მისი სასარგებლო თვისებები.....   | 34 |
| 2 ექსპერიმენტული ნაწილი .....  | 38 |
| 2.1 კვლევის ობიექტები და მეთოდები .....  | 38 |
| 2.2. ხილისა და ბოსტნეულის გადამუშავების ტექნოლოგიური პროცესები .....   | 48 |
| დასკვნები .....  | 51 |
| გამოყენებული ლიტერატურა.....   | 52 |

## **შესავალი**

### **სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება**

**თემის აქტუალობა.** ორგანიზმის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მისი არა მხოლოდ მაღალი ხარისხის პროდუქციით უზრუნველყოფა, არამედ დღიურ რაციონში ყველა ინგრედიენტის საჭირო რაოდენობითა და განსაზღვრული თანაფარდობით მიღება. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების  $\frac{1}{4}$  აქვთ არასწორი, არაბალანსირებული კვების რაციონი, რაც მათ ორგანიზმში იწვევს ისეთ ცვლილებებს, როგორცაა ანემია, რაქიტი, ენდოკრინოლოგიური დაავადებები და სხვა.

ბოლო დროს სამედიცინო პრაქტიკაში - პედიატრიაში ფართოდ დაინერგა მკურნალობის ისეთი მეთოდი, როგორცაა დიეტოთერაპია ანუ სწორი კვების პრაქტიკა, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, საკმაოდ ეფექტურია და დადებით შედეგებს იძლევა.

საქართველოს ბავშთა კვების ბაზარი უცხოური წარმოების დაბალი ხარისხის კონსერვირებული საკვები პროდუქტებითაა გაჯერებული. საქართველოში, კერძოდ აჭარაში არ ფუნქციონირებს ბავშვებისათვის კონსერვირებული საკვების დამამზადებელი ქარხნები, არ ხდება სკოლამდელი და სკოლის ასაკის ბავშვებისათვის სამკურნალო-პროფილაქტიკური კვების პროდუქტების წარმოება.

**კვლევის მიზანი:** სამაგისტრო ნაშრომის მიზანია ადგილობრივი ნედლეულის გამოყენებით, ბავშთა კვების სამკურნალო-პროფილაქტიკური, ბალანსირებული, დიეტური და სპეციალური კვების კონსერვირებული პროდუქტების მომზადება.

**კვლევის ამოცანები:**

- ბავშვთა კვების პროდუქტების ასორტიმენტის გაფართოება ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით (გოგრა, ქაცვი);
- სპეციალიზირებული ბავშვთა კვების კონსერვების შექმნა სამკურნალო მცენარეების გამოყენებით;
- სამკურნალო მცენარეებიდან ბიოლოგიურად აქტიური ექსტრაქტების მიღების ტექნოლოგიის დამუშავება და მათი გამოყენება ბავშვთა კვების კონსერვების მისაღებად.

**ნაშრომის სიახლე:** ჩვენს მიერ შესწავლილია საქართველოში გავრცელებული გოგრისა და ქაცვის ქიმიური შედგენილობა; მოხდა გოგრისა და ქაცვის ბაზაზე მიღებული ხილთაფების გამოკვლევა მიკრო ელემენტების შემცველობაზე; შემუშავდა გოგრისა და ქაცვის ჰომოგენიზირებული მასიდან ბავშვთა კვების პროდუქტების დამზადების ტექნოლოგია და რეცეპტურა.

გოგრისა და ქაცვის ქიმიური შედგენილობის გამოკვლევითვის გამოყენებულია მოქმედი საერთაშორისო ნორმატიული დოკუმენტაციით განსაზღვრული მეთოდები, როგორცაა:

- **შაქრის შემცველობა განისაზღვრა** - OIV: MA-AS311-01A მეთოდით - (შაქრების აღმდგენელი მოქმედების მიხედვით სპილენძის მარილების მიმართ);
- **აქროლადი მჟავიანობა** - MA-AS313-01 - მეთოდი დაფუძნებულია ბოსტნეულიდან აქროლადი მჟავების წყლის ორთქლით დისტილაციაზე და სტანდარტული ნატრიუმის ტუტით გატიტვრაზე, რომელთანაც აქროლადი მჟავები წარმოქმნის მარილებს;
- **ტიტრული მჟავიანობა** - MA-AS313-02 - წარმოადგენს ტიტრული მჟავების ჯამს სტანდარტული ტუტის ხსნარის მიმართ pH 7 -ზე;
- **pH** - MA-AS313-09 - გაიზომა pH-მეტრის საშუალებით, რომელიც წინასწარ უნდა იყოს დაკალიბრებული;
- **საერთო და თავისუფალი გოგირდოვანი ოქსიდი განისაზღვრა** - MA-AS323-04B - თავისუფალი გოგირდოვანი ოქსიდი ისაზღვრებოდა როგორც ხსნარის pH -ის და ტემპერატურის ფუნქცია  $H_2SO_3^-$  სა და  $HSO_3^-$  -ს შორის, საერთო

გოგირდოვანი ოქსიდი კი - როგორც გოგირდოვანი ოქსიდის ყველა ფორმის (თავისუფალი, ბმული) ჯამი.

- **მშრალი ექსტრაქტი** - MA-AS2-03B - მშრალი ნივთიერებების ანუ მშრალი ექსტრაქტის შემცველობა ისაზღვრებოდა 20 ° C ტემპერატურაზე;
- **ორგანული მუავეების შემცველობის**-MA-AS313-04-განსაზღვრა ტარდებოდა მაღალმგრძობიარე სითხურ ქრომატოგრაფზე (HPLC). ქრომატოგრაფი - "Varian"-ის ფირმა, სითხური ქრომატოგრაფი 500-MS-ით;
- ლიმონმუავეას შემცველობა გაიზომა ენზიმატური მეთოდით;
- მეტალები (რკინა, სპილენძი, ცინკი, კადმიუმი, რკინა და სხვ.) განისაზღვრა პლაზმურ - ემისიური სპექტომეტრის მეთოდით. აღნიშნული სპექტომეტრით მეტალების გაზომვის მეთოდი ემყარება იმ ელემენტების სპექტრალური ტააღლის ინტენსიობის გაზომვას, როდესაც ხდება იმ ელემენტების ნიმუშის შეყვანისას (აეროზოლის სახით) ინსტრუმენტში მათი აღგზნება, რა დროსაც დეტექტორზე ხდება ინტენსიობის აღქმა. ელემენტების გამოსხივების ინტენსიობასა და მათ კონცენტრაციებს შორის კავშირი მყარდება საკალიბრო გრაფიკების მეშვეობით.

**პრაქტიკული მნიშვნელობა.** ნაშრომში წარმოდგენილია გოგრისა და ქაცვის ხილ-ფაფების (პიურეს) დამზადების რეცეპტი და ტექნოლოგია, რომელიც გამოიყენება ბავშვთა კვებაში.

**სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა.** სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა წარმოდგენილია სტანდარტული სახით, ის დაყოფილია სხვადასხვა თავებად, „სადისერტაციო ნაშრომის ზოგადი დახასიათება“, „ლიტერატურული მიმოხილვა“, „ექსპერიმენტული ნაწილი“, „დასკვნები“ და „გამოყენებული ლიტერატურისაგან“. ნაშრომი განთავსებულია 56 გვერდზე. შეიცავს 3 ცხრილს, 2 ქრომატოგრამას, გამოყენებული ლიტერატურის სია მოიცავს 98 ერთეულს.

## 1. ლიტერატურის მიმოხილვა.

### სამკურნალო და პროფილაქტიკური დანიშნულების ბავშვთა კვების პროდუქტების შექმნა და მისი გავლენა ჯანმრთელობაზე

ქვეყნის მომავალი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მომავალი თაობის ჯანმრთელობაზე. მხოლოდ ფიზიკურა და ფსიქიკურად ჰარმონიულად განვითარებულ თაობას შესწევს საზოგადოების აღორძინების უნარი და ძალა. ბავშვის ჯანმრთელობის დაცვა არ არის მხოლოდ სამედიცინო პრობლემა ამ საქმეში უდიდესი მნიშვნელობა აქვს სოციალურ გარემოს, ეკონომიკურ სიტუაციას და მოსახლეობის განათლებას. [11; 12; 13] ცხადია, უპირველესი მნიშვნელობა აქვს სამედიცინო პერსონალის განათლების დონეს, მაგრამ, ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს მშობლების მიერ ბავშვის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების, ბავშვის კვებისა და მოვლის საკითხების, მისი განვითარების შეფასების ელემენტარული კრიტერიუმების ცოდნას. [14; 15]

დადასტურებული ფაქტია, რომ არსებობს მჭიდრო კავშირი ბავშვის კვებასა და მის ჯანმრთელობას შორის. [16; 17] ჯანსაღი კვება, განსაკუთრებით, ადრეულ ასაკში გარანტს წარმოადგენს ბავშვის ნორმალური ზრდისა და განვითარებისათვის. სამწუხაროდ, 2017-2018 წლებში ჩატარებულმა გამოკვლევამ საქართველში 5 წლამდე ასაკის ბავშვებს შორის ჭარბწონიანობის და სიმალლეში ზრდის შეფერხების ფართოდ გავრცელება გამოავლინა, რაც არაჯანსაღი კვების პრაქტიკასთან არის დაკავშირებული.

ჩვენი კვლევის მიზანა ნატურალური, ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით მდიდარი ბავშვთა კვების უსაფრთხო რაციონის შექმნა, რაც გაზრდის ასორტიმენტს.



ბავშვთა კვებაში სასარგებლო და მალალი კვებითი ღირებულების პროდუქციის შექმნა გაზრდის მოზარდის ჯანმრთელობას რაც გავლენას მოახდენს ჯანმრთელი და მოზროვნე თაობის არზრდაში. [16; 18; 19] პროდუქციის მალალი კვებითი ღირებულება უდავოდ კეთილისმყოფელ გავლენას ახდენს ბავშვზეც.

დედამინაზე ცხოვრების ეკოლოგიური პირობების გაუარესებამ განსაზღვრა კვების პროცესში ორგანიზმში მავნე ნივთიერებების შენთვის შეჩერების გზების გამოძებნის აუცილებლობა. დღევანდელი უახლესი მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოამგალი თაობების სწორი და ჯანსალი განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ მისი თვისების სრულფასოვნება. ყოველდღიურ რაციონში ყველა ინგრედიენტის საჭირო რაოდენობათა და თანათარღობით მიღებას. [20; 21; 22].

თანამედროვე მეცნიერები და მიდგომები მზარდი ორგანიზმის ნორმალური ფუნქციონირებისთვის უპირატესობას ანიჭებენ ხილისა და ბოსტნეულისაგან მიღებულ საკვებ პროდუქციას, რაც ძირითად მათში შემავალმა „შეუცვლელმა“ ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების შემცველობამ და ურთიერთშესაბამისობამ განაპირობა. ახალი ხილი და ბოსტნეული ბავშვებისთვის პროფილაქტიკური კვების პროდუქტების დასამზადებლად საუკეთესო ნედლეულია, თან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციიდან იძლევა ასორტიმენტის გაზრდის შესაძლებლობას [24; 25].

საქართველო მდიდარია ხილით, ბოსტნეულითა და სამკურნალო მცენარეებით, ხოლო მათგან მიღებული მალალხარისხოვანი, ეკოლოგიურად სუფთა, კონსერვების ფართო ასორტიმენტი უზრუნველყოფს ბავშვთა კვებას და მათ საჭიროების შემთხვევაში მკურნალობას მთელი წლის განმავლობაში. პროდუქციის ხარისხი და მისი სასარგებლო ნივთიერებების არსებობა, მნიშვნელოვნად დამოკიდებულია არამარტო მცენარის სახეობაზე, არამედ მათ გავრცელების ადგილმდებარეობაზე [23].

სამკურნალო მცენარეებისადმი ინტერესი გააძლიერა იმ ფაქტმა, რომ ზოგიერთ სინთეზურ სამკურნალო პრეპარატს მალალ სამკურნალო ეფექტებთან ერთად გვერდითი მოვლენები არ გააჩნია.

მედიცინაში ცნობილია, რომ სამკურნალო მცენარეები ხილსა და ბოსტნეულთან ერთად სამკურნალო პროფილაქტიკური თვალსაზრისით უფრო მოქმედია, ვიდრე ქიმიური პრეპარატები [4].

ყოველივე აქიდან გამომდინარე საქართველოში ყველაზე უფრო აქტუალურ პრობლემას სადღეისოდ წარმოადგენს ახალი ეკოლოგიურად უსაფრთხო კვების პროდუქტების კომპლექსური ტექნოლოგიის დამუშავება და მათი ნატურალობის მაჩვენებელი კრიტერიუმების დადგენა. რაც უზრუნველყოფს ორგანიზმისათვის ენერგეტიკული დანახარჯის აღდგენას, მისი იმუნური სისტემის ფუნქციის დაცვას და ჯანმრთელობის გაუმჯობესებას.

სწორი კვება უზრუნველყოფს არა მარტო ბავშვთა სრულფასოვან განვითარებას, არამედ გადამწყვეტ როლს თამაშობს მთელ რიგ დაავადებათა პროფილაქტიკისა და მკურნალობის პროცესში. [25; 26].

კვების პროდუქტების ბიოლოგიური ღირებულებების გაზრდის ერთ-ერთ გზას წარმოადგენს მათი კუპაჟირება, რომლის დროსაც გათვალისწინებულია თითოეული კომპონენტის კალორიულობის მაჩვენებელი ფაქტორი [27].

ხილ-ბოსტნეულისა და მისგან ნაწარმოები დაკონსერვებული პროდუქციის ხარისხი საბოლოოდ მიღებულია მისი პროფილაქტიკური დანიშნულების ხარჯზე (პროფილაქტიკური დანიშნულების, გამდიდრებული სასარგებლო კომპონენტებით, დიეტური, დიაბეტური და სხვ.) [28; 29; 30].

მსოფლიოში ბიოაქტიური ექსტრაქტების გამოყენებას დიდი ყურადღება ექცევა. ისინი ძირითადად გამოიყენება მედიცინაში, კოსმეტიკაში და სხვა დარგებში. [31; 34] აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებებით, რომ ექსტრაქტები დადებითად მოქმედებენ ადამიანის ორგანიზმზე, არ იწვევს უკუჩვენებებს და გარკვეულ როლს თამაშობენ პროდუქტების ფიზიკო-ქიმიური პროცესების წარმართვაში.

სამკურნალო თერაპიაში გამოყენებული მცენარეული ნედლეულის დიაპაზონი, რომლებიც მდიდარია მთრთოლავი ნივთიერებებით მეტად ფართოა [33; 35]. მაგალითად ცნობილია, რომ მთრთილავი ნივთიერებების მაღალი

შემცველობით გამოირჩევა ყურძნის წითელი ჯიშის წიპნა და კანი ხოლო, მისგან მიღებული ექსტრაქტები გამოიყენება სხვადასხვა დაავადებების სამკურნალოდ.

საქართველოში შექმნილი მრავალ პრობლემასთან შორის არის რიგი პრობლემები, რომლებიც თავისი მნიშვნელობის მიხედვით საჭიროებენ გადაუდებელ და მაშტაბურ მოქმედებას. მათ შორის ერთ-ერთი უპირველესი სწორედ, რომ ბავშვთა კვება წარმოადგენს [1 ; 2; 3].

- კატასტროფის წინაშე დგას ჩვილ ბავშვთა კვება - ადაპტირებული ნარეგები;
- აჭარაში არ ფუნქციონირებს ბავშვთა კვების მწარმოებელი ქარხნები და საამქროები;
- რაც შეეხება ბავშვთა კვებისათვის აუცილებელი სასოფლო სამეურნეო პროდუქტებს მათში ქიმიკატების კონცენტრაცია იმდენად მაღალია, რომ მათი მიღება, ზოგჯერ არანაკლებ საშიანა, ვიდრე კვების რაციონში მათი დეფიციტი. უყურადღებოთაა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა ნივთიერებათა ცვლის თანდაყოლილი პათოლოგია და საერთო ქრონიკულდ მოავადე ბავშვთა სპეციალური დიეტური კვება.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ბავშვთა მთელი მოსახლეობის დაახლოებით 1/4 ხელოვნურ და შერეულ კვებაზეა, ადვილი წარმოსადგენი ხდება ამ პრობლემების მაშტაბურობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ მიუხედავად რეგიონში არსებული მძიმე საერთო მდგომარეობისა ბავშვთა კვების პრობლემების გასაჯაროებასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნებისმიერი დაყოვნება დანაშაულის ტოლფასია ჩვენი ბავშვების, მათი ჯანმრთელობის და საერთოდ, ერის მომავლის წინაშე, რამეთუ, ყოველი დაგვიანებული და უმოქმედო წელი კიდევ ერთი დამახინჯებული თაობით გვემუქრება.

**სამკურნალო პროდუქტები ბავშვებისათვის.** ბავშვთა კვება რჩება ერთ-ერთ ძირითად პრობლემად თანამედროვე პედიატრიულ პრაქტიკაში და მნიშვნელოვან რგოლად სხვადასხვა უწყების საქმიანობაში [35; 35].

კვების დარგში ყველა გამოკვლევას აქვს მისი მიზანი - ავადმყოფი და ჯანმრთელი ბავშვების კვების ოპტიმიზაცია, მაღალი სასიცოცხლო პოტენციალის

უზრუნველყოფა და ჯანმრთელი ორგანიზმის ფორმირება [37]. ძირითად და რთულ ნაწილს ბავშვთა კვების დარგში წარმოადგენს სამკურნალო კვების პროდუქტების შექმნა და კვლევებით მის დადასტურება, რომელიც განკუთვნილია მძიმე პათოლოგიით დაავადებული ბავშვებისათვის [38].

## 2. ბავშვთა კვების პროდუქტების კონსერვირება

კონსერვების წარმოებაში ნედლეულად შეიძლება გამოყენებული იქნას თითქმის ყველა სახეობის კულტურული და ველური ჯიშის ბოსტნეული ხილი, და კენკრა. კონსერვირებაზე აწოდებენ მდიდარი ქიმიური შედგენილობისა და მაღალი ორგანოლექტიკური მახასიათებლების მქონე, ნედლეულს, რომელიც თერმული დამუშავების დროს არ კარგავს სასარგებლო თვისებას და არ ჩაიხარშება გადამუშავების პროცესში. ბავშვთა კვებაში კონსერვირებისათვის გამოიყენება ნედლეული, რომელსაც აქვს გავლილი ტექნიკური ან მიახლოებული სიმწიფის ეტაპები სახეობისთვის შესაბამისად. რომელსაც გააჩნია შესაბამისი ფერი და კარგად გამოკვეთილი გემო და არომატი, რათა თერმული დამუშავების დროს არ დაკარგოს მისთვის დამახასიათებელი გემური თვისებები [39; 40].

დაკონსერვებული პროდუქციის ხარისხის ერთ-ერთ ძირითად მაჩვენებელს მახასიათებელს კონსერვის ფერი წარმოადგენს. ფერიც ცვლილება არა მარტო გარეგნული ნაკლია, არამედ ნიშანია ღრმა ქიმიური ცვლილებების, რომელიც დაკავშირებულია არომატის, გემოს, სუნისა და ხშირ შემთხვევაში კვებით-ფიზიოლოგიურ ღირებულებებთან, რაც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა კვების პროდუქტების ხარისხზე [ 41].

ჩვენს მიზანს შეადგენდა ადგილობრივი ნედლეულის რესურსების გამოყენებით, ბავშვთა კვების სამკურნალო-პროთეილაქტიკური, ბალანსირებული, დიეტური და სპეციალური კვების კონსერვების წარმოება. ასევე, შეგვესწავლა

ნედლეულში - გოგრისა და ქაცვში და მათი გადამამუშავების პროცესში კონსერვირებისათვის საჭირო პროცესები. გაგვეუმჯობესებინ ბავშვთა კვების პროდუქტის სასარგებლო და ორგანოლექტიკური მაჩვენებლები მის ჩამოყალიბებაში მოქმედი ფაქტორები.

გოგრა მიუხედავად იმის, რომ მდიდარია ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით, მისი გამოყენება უშუალოდ ბავშვთა კვებისათვის მიზანშეწონილია ორგანოლექტიკური მაჩვენებლებიდან გამომდინარე.

კვების ტექნოლოგიის ლაბორატორიაში პირველად ჩატარებულ იქნა სამუშაოები გოგრისა და ქაცვის ნედლეულიდან წარმოებული ბავშვთა კვების პროდუქტების შედგენილობაზე.

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობა მოითხოვს გადამამუშავებელი მრეწველობის ეკონომიკის დივერსიფიკაციას ანუ მისი ისეთი დარგების ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების განვითარებას, რომლებიც ნაკლებად არის წარმოდგენილი.

ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოება და მათზე მოთხოვნების დაკმაყოფილება მეცნიერულად დასაბუთებული მოხმარების ნორმების შესაბამისად აქტუალურია და რთულ პრობლემას წარმოადგენს [1; 2].

ბავშვებისათვის საკმარისი რაოდენობით სრულფასოვანი, დაბალანსებული, ქიმიურად და ეკონომიურად სუფთა კვების არ არსებობის გამო ხშირად აღინიშნება დაავადებები: ანემია, რაქიტი, ალერგიის სხვადასხვა ფორმებით მაღალია ბავშვთა სიკვდილიანობის დონე [2;3].

რაციონალური კვება ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ეფექტურ ფაქტორს წარმოადგენს, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, ჰარმონიულ განვითარებას.

ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების ძირითადი არსი მდგომარეობს ადგილობრივი რესურსების გამოყენებით ბავშვთა პროფილაქტიკური, სამკურნალო, დიეტური, ბალანსირებული კვების პროდუქტების მიღებას.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით 200 მილიონზე მეტი ბავშვი დაავადებულია მიკროელემენტების, მინერალური ნივთიერებების (რკინა, კალციუმი, კალიუმი, იოდი) და ვიტამინების უკმარისობით [15].

დღევანდელი უახლესი მოთხოვნებიდან გამომდინარე, მოამგალი თაობების სწორი და ჯანსაღი განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა არა მხოლოდ რაოდენობა, არამედ მისი თვისების სრულფასოვნება, რაც თავისთავში მოიცავს დღიურ რაციონში ყველა ინგრედიენტის საჭირო რაოდენობითა და თანაფარდობით მიღებას [41;42]

თანამედროვე მეცნიერები ბავშვთა კვებისას მზარდი ორგანიზმის ნორმანული ფუნქციონირებისათვის უპირატესობას ანიჭებენ ხილსა და ბოსტნეულს.

მცენარეულ ქსოვილ აქვს უჯრედის ფორმა. მცენარეული ქსოვილი შედგება პარენქიმული და პროზენქიმული უჯრედისაგან. პარენქიმულ უჯრედს მომრგვალო ან წახნაგოვანი ფორმა აქვს. ასეთი უჯრედის ზომა ნებისმიერ ჭრილში დაახლოებით ერთნაირია და უმეტესად 10-დან 60 მკმ-მდე მერყეობს. პროზენქიმული უჯრედებისათვის დამახასიათებელია წაგრძელებული ფორმა, განივ ჭრილში მათი ზომები დაახლოებით ისეთივეა როგორც პარენქიმული უჯრედებისა, სიგრძე კი სანტიმეტრით იზომება[45].

ხილისა და ბოსტნეულის ქსოვილი ძირითადად პარენქიმული უჯრედისაგან შედგება. პროზენქიმული უჯრედები კი უპირატესად მცენარის ღეროსთვის დამახასიათებელ მექანიკურ და გამტარ ქსოვილებს ქმნიან [43].

დაკონსერვებისათვის გამოიყენება სხვადასხვა სახის ბოსტნეული, ხილი და კენკრა. საკონსერვო მრეწველობის მიერ გამოიმუშავებული პროდუქტების 65%-ზე მეტი ხილისა და ბოსტნეულისაგან დამზადებულ კონსერვებზე მოდის, ისინი მდიდარია ნახშირწყლებით, ორგანული მჟავებით, არომატული ნივთიერებებით, საკმაო რაოდენობით შეიცავენ მინერალურ ნივთიერებებს, ვიტამინებს და სხვა ძვირფას კომპონენტებს [42].

ადამიანის კვების რაციონში დაკონსერვებული კვების პროდუქტების სულ უფრო მზარდი როლის გამო, მეტად აქტუალურია მზა პროდუქციის ხარისხის

განუხრელი ზრდა და საწარმოო პროცესების ინტენსიფიკაცია, რაც დაკონსერვების ტექნოლოგიის შემდგომი სრულყოფილების გზით მიიღწევა.

საკონსერვო მრეწველობა თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევათა წარმოებაში დანერგვის გზით ვითარდება. გადამუშავების ტექნოლოგიურ პროცესში სულ უფრო ფართოდ გამოიყენება ნედლეულის გადამუშავების ქიმიური, ბიოლოგიური და ფიზიკურ-მექანიკური პროგრესული მეთოდები, ჯენჯოსა და გამონურული წვენის ელექტრონული დენითა და ფერმენტული პრეპარატებით დამუშავებული [45;47].

ძირითადი მეთოდი გამომდინარეობს ნედლეულის ბიოლოგიური თვისებებით. ძირითად შემთხვევაში მონაცემები ნედლეულის ქიმიურ შემადგენლობაზე არასაკმარისია, იმისათვის რომ გადავამუშავოთ ის სასურველი მიმართულებით და მივიღოთ ხარისხიანი პროდუქცია.

ფიზიოლოგიური ხედვით საკვები ასრულებს რამდენიმე ფუნქციას: წარმოადგენს ენერჯის წყაროს, რომელიც ხელს უწყობს ადამიანის სხეულის ტემპერატურის შენარჩუნებას განსაზღვრული მინიმუმის ზემოთ (რომლის ქვემოთ ადამიანის ორგანიზმი კვდება), აწოდებს სამშენებლო პლასტიკურ მასალას მრავალფეროვანი უჯრედების აღსადგენად [44; 46] .

ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნა ენერჯის წყაროზე, რომელიც ორგანიზმში ხვდება პროდუქტთან ერთად დამოკიდებულია ადამიანის სქესზე, ასაკზე, კლიმატზე, ფიზიკურ და ფსიქიკურ აქტივობაზე, ფიზიოლოგიურ მდგომარეობაზე, სეზონზე და ა.შ [47]. ენერჯის წყაროს ძირითადი მოთხოვნების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის ნახშირწყლებზე, ცხიმებზე და მცირე რაოდენობით ცილებზე [48].

დედამინაზე ცხოვრების ეკოლოგიური პირობების გაუარესებამ განსაზღვრა კვების პროცესში ორგანიზმში მავნე ნივთიერებების შეწოვის შეჩერების გზების გამოძებნის აუცილებლობა. ერთი მიმართულება ამ პრობლემის გადაწყვეტის არის ძიება უვნებელი ენტროსორბენტისა გამოყოფილი მცენერეული ნედლეულიდან. უდიდესი სორბციული უნარი დამახასიათებელია თეთრი ბალახისათვის, ჭარხლის, ყურძნის ჭაჭას და სხვას ეკოლოგიურად მავნე ნივთიერებების ამიაკის, მძიმე მეტალების, მარილების რადიონუკლიდების:

ცეზიუმის, ფენოლის, კარბამიდის და ფლორმალდეჰიდის სორბინების უნარი, ამიტომ საკვები ბოჭკო სხვადასხვა სახეობის მცენარეულ ნედლეულთან ერთად კარგელ სორბენცია რადიონუკლიდების და მიზანშეწონილია მისი შეყვანა მოსახლეობის კვების რაციონში, რადიაციი მომატებულ ზონებში [44].

საკვები ბოჭკოების უვნებლობა ადამიანის კვების პროცესში დასაბუთებულია. მისი გამოყენება დადებითად მოქმედებს კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მუშაობაზე. მას რეკომენდაციას უწევს კოლიტისა და დიაბეტის დროს. ისინი ამცირებენ ქოლესტერინის დაგროვებას და იყენებენ ათეროსკლეროზის პროფილაქტიკისათვის [50].

ბავშვთა კვების პროდუქტების მიღებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ ორგანოლექტიკური მაჩვენებლები და სამკურნალო თვისებები.

საკვლევ მასალაში შევიტანეთ პროდუქტები, რომლებიც თავის ბიოქიმიურად ორგანოლექტიკური მაჩვენებლებით ურთიერთ შემავსებელია. სპეციალიზებული სამკურნალო პროდუქტების შეტანა წარმოადგენს რთულ და შრომატევად პროცესს. რომელიც მოითხოვს ავადმყოფი ბავშვის კვებაზე მეცნიერების ბოლო მიღწევების მაღალი ტექნოლოგიების, სანიტარულ-ჰიგიენური პრამეტრების მკაცრი დაცვის ცოდნას [51].

დიეტური და სამკურნალო კვების სპეციალიზირებული პროდუქტების წარმოება წარმოადგენს განსაკუთრებულ მიმართულებას რიგი წამყვანი ფორმების საქმიანობაში, რომლებიც დაკავებული არიან ბავშვთა კვებით.

ადრეული ასაკის რაციონალური კვების ორგანიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო წარმოების პროდუქტებს, რადგან ისინი მზადდება სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენებით ამ ასაკის ჯგუფების ნივთიერებათა ცვლის და საკვებმონელების თავისებურებების გათვალისწინებით.

სამწუხაროდ, ბავშვთა კვების პროდუქტების სამრეწველო წარმოება და მათზე მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ამჟამად არადაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ამ მიზნით საჭირო შემუშავდეს სპეციალური პროგრამა რომელშიც გათვალისწინებული იქნება სპეციალიზებული ნედლეულის ზონები [52; 53].



საქართველო მდიდარია ბუნებრივი ველურადმზარდი ბავშვთა კვების მცენარეებით. ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური კონსერვების ასორტიმენტის შექმნა ითვალისწინებს ორიგინალურ ტექნოლოგიურ გადაწყვეტას [4].

გამოკვლევებით დადგენილია, რომ ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნილება რკინაზე არ შეიძლება დაკმაყოფილდეს მხოლოდ ბუნებრივი საკვები რკინის ხარჯზე, რის გამოც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ ყურადღება გაამახვილა საკვები პროდუქტების რკინით გამდიდრებაზე [48].

ჩვენი კვლების მიზანია დამუშავდეს სამკურნალო-პროფილაქტიკური დანიშნულების, უსაფრთხო ბავშვთა კვების კონსერვების მიღების ტექნოლოგია გაფართოვდეს ურთიერთგამამდიდრებელი ასორტიმენტი.

ახალი ტექნოლოგიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ის ითვალისწინებს საქართველოში გავრცელებული გარეული ხილის კომპლექსურ გადამუშავებას მათგან წვენის, ხილფაფის მიღებას და მათ გამოყენებას მიზნობრივი დანიშნულების ბავშვთა უსაფრთხო სამკურნალო - პროფილაქტიკური კუპაჟების დასამზადებლად, რისთვისაც შერჩეულ იქნა ლიტერატურული წყაროებიდან გამომდინარე რკინით მდიდარი ნედლეული ქაცვი.

საწარმოო ინსტრუქციის შემუშავება, რომლებიც ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების მოთხოვნებს პასუხობს:

- ადრეული ასაკის ბავშვებისათვის კვების პროდუქტების წარმოების გაზრდა;
- ასორტიმენტის მნიშვნელოვანი გაფართოება, პერსპექტიული სახეობის პროდუქტების შექმნა და დაფასოება ტარაში თანამედროვე სახით;
- ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების განვითარების მეცნიერული დასაბუთება;
- ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულისაგან, მაღალი კვებითი ღირებულების ბავშვთა კვების პროდუქტების შექმნა და ეკონომიკური ეფექტი.

### 3. ბავშვთა კვების პროდუქტები ხილ- ბოსტნეულის საფუძველზე

ადამიანის ორგანიზმის საშენ მასალას წარმოადგენს ხილი, ბოსტნეული და მისგან წარმოებული პროდუქცია, რომელიც არის ვიტამინების, ნახშირწყლების და მინერალური ნივთიერების საბადო. მიუხედავად მისი მდიდარი შემადგენლობისა ის არ წარმოადგენს კალორიულ პროდუქციას, ჭამიას შემდეგ დამახასიათებელი თვისებაა „მალე ნაყროვანება“ ის ასევე მიიჩნევა პროფილაქტიკური დანიშნულების პროდუქციად, ხილის, ბოსტნეულისა და მისგან წარმოებული პროდუქციის ზომიერი მოხმარება ხელს შეუწყობს თავიდან აგვაცილოს ისე ვერაგი და გავრცელებული დაავადებები, როგორცაა შაქრიანი დიაბეტი, სისხლში ქორესტერინის დონის მატება - (უმეტეს შემთხვევაში მათში არსებული მუავათა კომპლექსი ამცირებს ორგანიზმში არსებულ ქორესტერინის დონეს), არსებული ნედლეულის ზოგიერთი სახეობა თრგუნავს კიბოს წარმოქმნის უჭრედებს და სხვ.

ხილი და ბოსტნეული (ბოსტნეულის გარკვეული სახეობები) უმჯობესია ადამიანმა მიიღოს ახალი გადაუმუშავებელი სახით, მაგრამ აღნიშნული ნედლეულის სეზონურობიდან გამომდინარე შეუძლებელია, ამიტომ საჭიროებს ტექნოლოგიურ ჩარევას, ყველაზე მოთხოვნადი არის წრაფი მეთოდით გაყინვა ანუ ნედლეულის აგრო ვადებში შეგროვება და „შოკ მაცივრებში“ გაყინვა.

აღნიშნული მეთოდი იძლევა საშუალებას ნედლეულს შეუნარჩუნოს ის სასარგებლო ნივთიერებები და ქიმიური შედგენილობა რაც მას თვისობრიობას წარმოადგენს, იგივე დანიშნულება აქვს დაკონსერვებას, ბაზრის მოთხოვნა და კონკურენციის პირობები ხშირად სახე შეცვლილად წარმოაჩენს, ტექნოლოგიური გადამუშავების - დაკონსერვების დროს ნაწილ პროდუქციას შაქარს, ნაწილს მარილს უმატებს. მიუხედავად არსებული ნედლეულის ბაზრის გაჭერებისა და ასორტიმენტის მრავალფეროვნებისა, არსებული პროდუქცია ვერ უზრუნველყოფს ადამიანის ორგანიზმს იმ ვიტამინითა და მინერალურ ნივთიერებებით რომელიც საჭიროა ნორმალური ფუნქციონირებისათვის[55].

შემოდგომა ზამთრის პერიოდში როდესაც ხილი და ბოსტნეული ხანგრძლივი შენახვის შედეგად კარგავს ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებების მნიშვნელოვან ნაწილს, ბავშვთა კვებისათვის ხილ-ბოსტნეულის კონსერვებს შეუძლიათ ბავშვი უზრუნველყონ ყველა ნივთიერებებით, რომლებიც აუცილებელია სრულფასოვანი კვებისათვის.

ბავშვებისათვის გამომუშავებული კონსერვების ასორტიმენტი მრავალფეროვანია იგი წარმოადგენილია ხილის - კენკროვანების, ბოსტნეულის, ხილ-კენკროვანთა წვენებით, კომპოტებით, მათი დამზადებისათვის გამოიყენება სხვადასხვა ბოსტნეულის და ხილის ნაკრები [56].

ბავშვებისათვის გამომუშავებული კონსერვების ჯგუფი რიგ ჯგუფებად იყოფა:

1. ხილისა და კენკროვანების პიურე შაქრით ნედლეულის ერთი სახეობიდან 4-დან 18%- მდე შაქრის დამატებით. ის კონსისტენციით შეიძლება იყოს წვრილად დაქუცმაცებული რეკომენდირებულია 2-3 თვის ასაკის ბავშვებისათვის;
2. 6 თვიდან პიურე ხილისა და კენკროვანების ნარევით შაქრით. ამ ქვეჯგუფის კონსერვების საფუძველს ვაშლის პიურე წარმოადგენს, რომელსაც ერთი ან ორი ხილისა და კენკროვანის კომპონენტი და 7 %-დან 14% -მდე შაქარი დაემატა.
3. პიურე ხილის, კენკროვანების, ბოსტნეულის გამდიდრებისათვის კონსერვში შეყვანილია ასკილი, შავი მოცხარი, ქაყვი, მათი კვებითი ღირებულება

იზრდება რეცეპტურაში კაროტინით მდიდარი სტაფილოს და გარგრის შეტანით. ეს კონსერვები რეკომენდირებულია 4-6 თვის ასაკის ბავშვების კვებაში. ბავშვების კვებაში ხილ- ბოსტნეულის წვენებს უკავია საკმაოდ დიდი ადგილი, რომლებიც კვებითი ღირებულებით უმნიშვნელოდ ჩამორჩება ნედლ ხილსა და ბოსტნეულს.

ბავშვთა კვებაში მნიშვნელოვანი ადგილი ხილსა და ბოსტნეულის წვენებს უჭირავს, რომლებიც კვებითი ღირებულებით უმნიშვნელოდ ჩამორჩება ნედლ ხილსა და კენკროვანებს, ხოლო შეთვისებით კიდევაც აღემატება მათ.

ხილისა და ბოსტნეულის წვენები მდიდარია მინერალური შემადგენლობით. კალიუმის შემცველობა დიდია ჭარხლის, ყურძნის, გარგრის და ალუბლის წვენებში.

ყველა ასორტიმენტი დაყოფილია შვიდ ჯგუფად:

1. ნატურალური ხილისა და ბოსტნეულის წვენები (რბილობის გარეშე ერთი სახეობის ხილისგან ან კენკროვანებისაგან);
2. კუპაჟირებული ნატურალური ხილისა და ბოსტნეულის წვენები წარმოადგენს კურკოვანი ხილის ორი წვენის ნარევის მაგ: ბალი და ალუბალი ან ორი წვენის თესლოვანი ხილიდან მაგალითად მსხალი და ვაშლი, ან ვაშლი და ყურძენი
3. ხილისა და კენკროვანების წვენები შაქრით. ისინი მიიღება ყველა კენკროვანების სახეობიდან (გარგრის გარდა) მზა პროდუქტში ემატება შაქარი
4. კუპაჟირებული ხილისა და კენკროვანების წვენები შაქრით. ამ საუძველს ვაშლის წვენი წარმოადგენს. კვებითი ღირებულების ამალღების მიზნით ემატება წვენები უპირატესად კენკროვან კულტურების;
5. ნატურალური ხილ- კენკროვანთა წვენები რბილობით სულ სამი დასახელების ვაშლის, ქლიავის და ატმის ხილიდანაა წარმოებული;
6. ხილისა და კენკროვანების წვენები რბილობით და შაქრით მოიცავს თითქმის ყველა სახის ხილს და კენკროვანებს რომლებიც გამოიყენება კონსერვების წარმოებაში;

7. პიურე ბოსტნეულის და ხილის ნარევეს შაქრით წარმოადგენს სტაფილოს გოგრასთან პიურეს, ყაბაყის ვაშლის პიურესთან შაქრით. გამოირჩევა სასიამოვნო გემოთი და ქიმიური შემადგენლობით, თანაც უფრო სრულფასოვანი პროდუქტებია, რადგან ერთი ავეებს მეორეს. ვაშლი ორგანული მჟავებით შეივსება სტაფილოს ან გოგრის კაროტინებით მდიდარი პროდუქტებით.

ბოსტნეულის წვენები მზადდება სტაფილოს, გოგრის, ჭარხლისაგან გამოირჩევა საუკეთესო კვებითი ღირებულებით. აქ მიღებულია შესაბამისი პიურეს შერევით შაქრიან სიროპთან ან ლიმონის და ასკორბინის მჟავას დამატებით რეკომენდირებულია ბავშვებში 4 თვიდან.

სიძნელე ამ პრობლემის გადაწყვეტაში არის ის, რომ ბავშვებს ადრეულ ასაკში ორგანიზმის ბევრი ფუნქცია არა აქვთ სრულყოფილი. დაქვეითებულია ადაპტაციის შესაძლებლობები, განსაკუთრებით საჭმლის მომნელებელი სისტემა. შეიმჩნევა მიმოცვლის პროცესების ლაბილურობა, რაც აძნელებს დიეტოთერაპიის ჩატარებას [57]. მეორე მხრივ, ზრდის მძაფრი პროცესები დამახასიათებელია ბავშვებისათვის ადრეულ ასაკში, რომლებიც კარნახობენ ამ ბავშვების საჭირო საკვები ნივთიერებებითა და ენერჯით აუცილებელ უზრუნველყოფაზე. ამ პრინციპის დაცვა კიდევ უფრო ართულებს მიზანდასახულ დიეტური მკურნალობის პროცესს.

მედიკო - ბიოლოგიური მოთხოვნის დამუშავებისას განსაზღვრული პროდუქტის შესაქმნელად გასათვალისწინებელია ბევრი ფაქტორი: ავადმყოფ ორგანიზმში მიმდინარე ძირითადი პათოლოგიური პროცესების ცოდნა, ამა თუ იმ სახის პათოლოგიის დამახასიათებელი მეტაბოლური დარღვევის სპეციფიკა. სხვადასხვა ორგანოსა და სისტემის პროცესებში ჩაბმის ხარისხი და სიმძიმე განსაკუთრებით საჭმლის მომნელებელი სისტემისა და ასაკისა, რომლებისთვისაც მუშავდება მოცემული პროდუქტი [58].

ამჟამად სამკურნალო მცენარეების დამუშავება წარმოადგენს აქტუალურს, განკუთვნილს შემდეგი კატეგორიის ავადმყოფი ბავშვებისათვის:

- დღენაკლული და მცირეწლოვანი ბავშვები;
- ავადმყოფები საკვების შეუთავსებლობით, მათ შორის საკვებზე ალერგიით და დაბალი ადსორბციის სინდრომით;
- ბავშვები მემკვიდრეობითი პათოლოგიით;
- ბავშვები ქრონიკული სომატური დაავადებებით;
- ბავშვები ქირურგიული პათოლოგიით, კერძოდ ზონდით ენტერალური კვება;

დღენაკლული ბავშვის რეკომენდირებული მოთხოვნილება ცილებზე შეადგენს 3,5 გ/კგ დღე-ღამეში. ოპტიმალური ცილა-კალორიულობის თანათარღობა არის 3გ თითოეულ 100 კკალ-ზე. ამავე დროს, დედის რძე ნაადრევი მშობიარობის შემდეგ შეიცავს არასაკმარისი რაოდენობის ცილებს. ფეხმძიმობის ბოლო კვირაში ნაყოფის ორგანიზმში აქტიურია კალიუმი და რკინა, ამიტომ დღენაკლული ბავშვები უჩივიან მათ დეფიციტს. დღენაკლულების კუჭ-ნაწლავში დაბალია ლაქტოზის აქტივობა, ამიტომ ნარევი დღენაკლული ბავშვებისათვის უნდა შეიცავდეს შედარებით დიდი რაოდენობით ადვილად ასათვისებელ ცილებს [59]. ლიპიდების კომპონენტების შემადგენლობაში, ჩართულია ადვილად შესათვისებელი ტრიგლიცერიდების საშუალო სიგრძის ნახშირბადის ჯაჭვი და ესენციურ ნახევრადგაუჯერებელი ცხიმოვანი მჟავები.

ნახშირწყლების კომპონენტებში ითვალისწინებენ ლაქტოზის პროცენტული რაოდენობის შემცირებას დექსტრინმალტოზის ხარჯზე, რომელიც ფლობს ბიფიდოგენურ თვისებებს.

დღენაკლული ბავშვებისათვის აუცილებელია ნარევი ვიტამინების ჩარევა, კაროტინის. მინერალური ნივთიერებების, მიკროელემენტების, შეუცვლელი არაციკლური ამინომჟავების - ტურინი, რომელიც მონაწილეობს ცენტრალური ნერვული სისტემის ფორმირებაში.

მიზანშეწონილია დამუშავდეს სპეციალურად გამდიდრებული დანამატი დედის რძისათვის, ისევე როგორც მუშავდება ნარევი დღენაკლული ბავშვების ხელოვნური კვებისათვის [51; 53].

შედარებით ხშირი მიზეზი საკვების ალერგიულობისა ერთ წლამდე ასაკის ბავშვებში გამოწვეულია ძროხის რძის ცილების შეუთავსებლობით. აღნიშნული

პათოლოგიის ძირითადი მეთოდთა ითვალისწინებს ყველა რძის პროდუქტისა და ნარევის ამოღებას ბავშვის კვების რაციონიდან.

ავადმყოფის რაციონში ცილების წყაროს შეცვლის მიზნით გამოიყენება ორი ძირითადი მიმართულება ჰიპოალერგიული პროდუქტის შექმნისა. ადაპტირებული ბალანსირებული ნარევი შექმნილი სოიას ცილების საფუძველზე, ინგიბიტურ ტრიბსინისა და ძნელად მოსანელებელი ნახშირწყლების ჩამოშორებით მიახლოებულია შემადგენლობით დედის რძესთან. სოიაში მეთიონინის შემცირების შემთხვევაში, უკანასკნელი შეჰყავთ დამატებით [33].

90 - იანი წლების დასაწყისში აქტიურად ვითარდებოდა ჰიპოალერგიული პროდუქტების შექმნის მეორე მიმართულება.

სუპტრატის სახით გამოიყენება კაზეინი, რძის შრატი, სოიოს ცილები, ხორცის ცილები, ხარის კოლაგენი და სხვა . სპეციალური ტექნოლოგია ითვალისწინებს ჰიდროლიზის არასასურველი პროდუქტებისაგან განმენდას. აუცილებლობის შემთხვევაში შეჰყავთ საჭირო ამინომჟავები, ცხიმოვანი და ნახშირწყლებიანი კომპონენტების ნარევი [44; 45]. ჰიდროლიზის ხარისხისაგან დამოკიდებულებით საზღვრავენ მითითებული ნარევის ალერგიულობას. ცხიმოვანი და ნახშირწყლებიანი კომპონენტების ნარევი რეკომენდებულია უმეტესად საკვებით გამოწვეული ალერგიის პროფილაქტიკისათვის, შეესაბამება ადაპტირებულ რძის ნარევს .

ნარევი მიღებული ცილების ძლიერი ჰიდროლიზის საფუძველზე განკუთვნილია ბავშვებისათვის, პოლივადენტური ალერგიით, კუჭ - ნაწლავის პროცესების დარღვევით, ჰიპოტროფიით. ამიტომ მათ შემადგენლობაში ხშირად შეჰყავთ ტრიგლიცერიდი, ხოლო ნახშირწყლების კომპონენტები ითვალისწინებს დისაქარიდების უქონლობას და მასში კრახმალი, დექსტრინმალტობას და მონოსაქარიდების ჩართვას. ნარევის აგრეგატული გამძლეობისა და დაავადებული ბავშვების კუჭ-ნაწლავში სასარგებლო მიკროფლორის დონეს გაზრდას .

საკვების შეუთავსებლობა ასევე ეხება დაავადებას ტერმინით „მცირედ აღსორბაყის სინდრომი“. ამ დაავადებებს შორის გვხვდება ისეთიც, რომელიც

განპირობებულია ლაქტოზის აქტივობის ნაწილობრივი ან მთლიანი უქონლობით კუჭ-ნაწლავში, როგორც თანდაყოლილი, ასევე შენაძენის ხასიათის. ასეთ შემთხვევაში ბავშვებისათვის სიცოცხლის პირველ წელს გამოიყენება ადაპტირებული ნარევი ლაქტოზის შემცირებული რაოდენობით ან მთლიანად უქონლობით, ხოლო მოზრდილ ბავშვებში მცირე ლაქტოზიანი რძე. ერთ წელზე მეტი ასაკის ბავშვებისათვის ლაქტოზის ნაწილობრივი უკმარისობის შემთხვევაში შესაძლებელია ლაქტოზის გასახლეჩად გალაქტოზიდაზის ფერმენტული პრეპარატის გამოყენება. ასევე მისი დამუშავება სპეციალიზებული ლაქტობაცილით და კეფისის სოკოებით, რომლებიც ახდენენ ლაქტოზის გახლეჩას [56; 57; 58].

ინტენსიური პროცესები წარმოებს მრავალ ორგანოსა და სისტემის ჩამოყალიბებას და სრულყოფას, ინტელექტის განვითარებას.

ადრეული „ასაკის რაციონალური კვებისათვის“ ორგანიზაციაში დიდი მნიშვნელობა აქვს სამრეწველო წარმოების პროდუქტებს, რადგან ისინი მზადდებოდა სპეციალური ტექნოლოგიების გამოყენებით ამ ასაკის ჯგუფების ნივთიერებათა ცვლის და საკვების მონელების თავისებურებების გათვალისწინებით.

სამწუხაროდ, ბავშვთა კვების პროდუქტების სამრეწველო წარმოება და მათზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება ამჟამად არადაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია. ამ მიზნით საჭიროა ერთიანი მიდგომის შემუშავება, რომელშიც გათვალისწინებული იქნება:

- სპეციალიზირებული ნედლეულის ზონების შექმნა ეკოლოგიურად უსაფრთხო ხილ-ბოსტნეული კულტურებისათვის, რომლებიც პასუხობენ ბავშვთა კვების პროდუქტების მოთხოვნებს;
- ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა, მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქცია გაფართოების და ტექნიკური გადაიარაღების ხარჯზე;
- ასორტიმენტის მნიშვნელოვანი გაფართოება, პერსპექტიული სახეობის პროდუქტების გამოშვება, დაფასოება ტარაში თანამედრო სახით ;



- ბავშვთა კვების პროდუქტების წარმოების განვითარების მეცნიერული დასაბუთება;
- ეკოლოგიურად სუფთა ნედლეულის და ბავშვთა კვების პროდუქტების ეკონომიკურად სტიმულირების ზრდა.

### 3. 1. ბავშვთა კვების პროდუქტების შექმნისათვის საჭირო ნედლეული - გოგრა

**გოგრა (ლათ. Cucurbita)** — ერთწლიანი, ძირზე გართხმული, ყუნწიანი და დიდ ფოთლიანი მცენარეა. მას გააჩნია ყვითელი ყვავილი, რისი ფორმირებით ყალიბდება მსხვილ ნაყოფიანი სხვადასხვა მოცულობის, წონის, ფორმისა და შეფერილობის ნედლეული. მსხვილი ნაყოფი დაფარულია მყარი კანით, რომლის ზედაპირი გლუვია და სრიალა და არასტანდარტული მოყვანილობის, შიგთავსი არის ღია ყვითელიდან მუქ ყვითლამდე შეფერილობის, მყიფე მაგრამ ადვილად დასაჭრელი, ხოლო ნაყოფის შუაგულში მოთავსებულია თესლი (რითაც მრავლდება), რომელიც დაფარულია აპკისებური საფარით, ხოლო საფარის შიგნით მოთავსებულია ნიჟარისებური უხეში კანი, რომელიც ირჩევა

უხეში დაჭრით. პირველადი წყაროებით თუ ვიმსჯელებთ, მიჩნეულია, რომ გოგრის სამშობლოა ამრიკა. ბოტანიკოსები მიიჩნევენ, რომ არსებობს 13 სახეობის გოგრა და აქედან მხოლოდ 3 სახეობას აქვს სამრეწველო დანიშნულება. საკვებად გამოიყენება ერთწლიანი კულტივირებული ჯიში, რომელსაც გააჩნია მსხვილი ნაყოფი და სასიამოვნო გემური თვისებები, ასევე არსებობს დეკორატიული დანიშნულებისაც. საქართველოშიც არის გავრცელებული მსგავსი ტიპის გოგრები - როგორც სასუფრე ასევე დეკორატიული [60; 61].

ალბათ იშვიათად შეხვდებით მცენარეს რომლის ყვავილი ღერო, ქერქი, რბილობი და თესლი ერთნაირად გამოსაყენებელია. გოგრის რბილობი შეიძლება შევწვათ და მოვხარშოთ, მისგან მზადდება წვნიანი, პიურე, გულსართი ღვეფელისთვის. თესლიდან ხდიან ძვირფას ზეთს. მოხალული თესლი თავისთავად საუკეთესო ნუგბარია და საკონდიტრო წარმოებაში გამოიყენება. იტალიურ და ფრანგულ სამზარეულოში კლიარში ამოვლებულ გოგრის ყვავილებს ფრიტურში ან უბრალოდ ცხიმში წვავენ, ამზადებენ სხვადასხვა გულსართით ფარშირებულ ყვავილებსაც, გოგრის ყვავილები სამხრეთ ამერიკაშიც ოდითგანვე გამოიყენებოდა საკვებად. აზიის ქვეყნებში გოგრაში ან გოგრასთან ერთად ამზადებენ მრავალი სახეობის ბრინჯის კერძებს, ძირითადად ფლოვებს ღუმელში გამომცხვარს. გოგრა ქართულ კულინარიაში ერთ-ერთ სადღესასწაულო კერძად ითვლება [64 ;65; 66].

გოგრის სამშობლოა მექსიკა, სადაც ის ჩვენს წელთაღრიცხვამდე 5000 წლის წინაც მოჰყავდათ. არქეოლოგების მტკიცებით პერუში გოგრა ჯერ კიდევ სიმინდამდე ხარობდა პერუს არქეოლოგიური გათხრების შედეგად სამარხებში აღმოჩენილია გოგრის თესლები ღეროსა და ქერქის ნარჩენები. ამერიკელი ინდიელები გოგრისგან ხარშავდნენ კერძებს, მისი მაგარი გარსისაგან კი ამზადებდნენ ჭურჭელს. ამ ნარინჯისფერ საოცარ პროდუქტს კარგად იცნობდნენ ძველ ეგვიპტესა და რომში გოგრა თავის შრომებში მოხსენიებული აქვთ პლინიუს უფროსს და პეტრონიუსს გოგრაზე ყოველთვის და ყველა ქვეყანაში უდიდესი მოთხოვნილება იყო გარდა იმისა რომ უძვირფასეს საკვებ პროდუქტად

ითვლებოდა, მისგან მზადდებოდა საყოფაცხოვრებო საგნები – ჭურჭელი, ნეჭა ფარდაგები, მუსიკალური ინსტრუმენტები, ქუდები [67; 68].

ლათინური ამერიკის ინდიელები მასიური გოგრებისაგან ამზადებდნენ აბაზანებს, სადაც ბავშვებს აბანავებდნენ. რომაელები და ბერძნები მოგრძო ფორმის ნაყოფისაგან რომელსაც ლაგენარიას უწოდებენ ღვინისა და წყლის ჭურჭელს აკეთებდნენ. ძველ ჩინეთში მოგრძო წვეთის ფორმის გოგრებს გამოიყენებდნენ სითხის შესანახად, მისგან ამზადებდნენ თილისმებს სახელწოდებით ხუ-ლუ. ჩინელების აზრით ხუ-ლუს მოჰქონდა ბარაქა და ბედნიერება, ამიტომ ამ თილისმებს ჩუქნიდნენ ქორწილში ახალშეუღლებულებს, რათა მათი ოჯახი გამრავლებულიყო საერთოდ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ხალხებში გოგრა დიდი პატივით სარგებლობდა. კამბოჯისა და ლაოსის მაცხოვრებლები მას წმინდანად თვლიდნენ რადგან ერთ-ერთი ლეგენდის მიხედვით გოგრამ ეს ერები წარღვნისაგან გადაარჩინა [69].

გოგრა ევროპაში XVI საუკუნეში კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის შემდეგ შემოიტანეს იგი პირველად მოხსენიებულია 1543 წელს ერთ-ერთ სამკურნალო წიგნში გოგრის მოყვანას არ ჭირდებოდა განსაკუთრებული შრომა კარგ მოსავალს იძლეოდა და კარგად ინახებოდა რის გამოც მან დიდი პოპულარობა მოიპოვა ფაქტობრივად ყველა კონტინენტზე ამ მცენარის გარკვეული სახეობები ამერიკის კონტინენტის გარდა აზიაშიც ხარობდა თუმცა პოპულარობა ევროპაში სწორედ სამხრეთ ამერიკიდან შემოსულმა გოგრამ მოიხვეჭა [70; 71].

XIX საუკუნის ბოლოს საფრანგეთში, კერძოდ პარიზში გამოცხადდა კონკურსი გოგრის ყველაზე დიდი ნაყოფის წარმოდგენაზე, თავიდან პირველობდნენ გოგრები რომელთა ნაყოფი რამდენიმე ათეული კილოგრამი იყო, შემდგომ კი ნორმად იქცა ცენტნერის სიმძიმის გოგრები სადღეისოდ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ფერმერები ხშირად პაექრობენ საუკეთესო მოსავალის მიღებაში. ცნობილია რომ ერთ-ერთმა ამერიკელმა ფერმერმა 676 კგ-იანი ნაყოფიც კი გაზარდა [72; 73; 74]

ოდითგანვე ცნობილი იყო გოგრის სასარგებლო თვისებები მას სამკურნალოდაც იყენებდნენ ჯერ კიდევ ავიცენა წერდა გოგრის თესლის

უნიკალურ თვისებაზე ჭიების წინააღმდეგ მკურნალობის დროს. მას თანამედროვე მედიცინაშიც გამოიყენებენ კუჭის დაავადებების სამკურნალოდ, მოგვიანებით აღმოაჩინეს რომ გოგრისებრები ამცირებენ ფილტვის კიბოს რისკს. გოგრისებრი მცენარე – ლაგენარია მოჰყავდათ ჯერ კიდევ 850 წელს ჩვენს წელთაღრიცხვამდე, ეგვიპტის ფარაონთა მე-12 დინასტიის სამარხებში აღმოაჩინეს ლაგენარიის ჭურჭელი, რომელშიც ინახავდნენ ღვინოსა და წყალს. ამის გამო ამ ჯიშს ეწოდა ბოთლისებრი გოგრა. გოგრებისაგან ამზადებდნენ აგრეთვე სათუთუნებსა და რეზონატორებს მუსიკალური საკრავებისთვის. გოგრის თესლებისაგან მიიღება ზეთი, რომელსაც აქვს როგორც კულინარული დანიშნულება აგრეთვე გამოიყენება მრეწველობაში როგორც საღებავებისა და ოლიფის შემადგენელი ერთ-ერთი ინგრედიენტი [75].

გოგრასთან დაკავშირებულია ცნობილი ჰელოუინის დღესასწაული, რომელიც 31 ოქტომბრის ღამეს თითქმის მთელ მსოფლიოში აღინიშნება და მის აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს გულამოცლილი გოგრა ამოკვეთილი სახით და შიგნით ანთებული სანთლით ეს ტრადიცია სათავეს იღებს კელტური კულტურიდან დღესასწაულის შინაარსი დაკავშირებულია ლეგენდებთან, რომელთა მიხედვით ამ ღამეს სულები, მოჩვენებები და ლანდები თავისუფლად მოძრაობენ ცოცხალ ადამიანებს შორის წლების მანძილზე საუკუნოვანი წარმართული ზეიმი მრავალი ხალხის ეროვნულ ტრადიციად იქცა და მოედო მსოფლიოს [76; 77].

გოგრა შეგვიძლია უნივერსალურ პროდუქტად მივიჩნიოთ რომელიც თანაბრად გამოიყენება როგორც დესერტებში აგრეთვე ხორციით, თევზით და სხვა ბოსტნეულით მომზადებულ კერძებში. სამხრეთ ამერიკულმა ტრადიციამ რომელიც უშუალოდ გოგრაში კერძის მომზადებას გულისხმობს დიდი პოპულარობა ჰპოვა დანარჩენ სამყაროში – ამ ფორმით დღესდღეობით ევროპული კულინარიის მრავალი კერძი მზადდება. ამ შემთხვევაში გოგრა ქვების როლსაც ასრულებს რომელიც კერძს განსაკუთრებულ არომატს სძენს და ორიგინალურადაც გამოიყურება [79]. ევროპულ რეცეპტებში შეხვდებით უმი გოგრის სალათებს ზეთისა და სანელებლების დამატებით. ავსტრიაში არსებობს

გოგრისგან შნაჰსის დამზადების ტრადიციაც. გოგრისგან მზადდება აგრეთვე წვენი, რომელსაც ზოგჯერ ფორთოხლის ცედრას უმატებენ და თათლით მიირთმევენ. ნაყოფისგან ამზადებენ ცუკატებს, მურაბას, ჩირს. ინდოეთში გოგრისგან ჰალვის ერთ-ერთ ვარიანტსაც ამზადებენ [78].

გოგრის სეზონი სექტემბრიდან იწყება და თებერვლის ბოლომდე გრძელდება. მე რატომღაც მგონია რომ ამ მცენარის პოპულარობა გოგრის სეზონმაც განსაზღვრა – მუქი ნარინჯისფერი სითბოსმასხივებელი კვახი თავისებურ კოლორიტსა და განწყობას ქმნის ზამთრის უფერულ დღეებში [79]

გოგრის მნივე ნაყოფი 92-94 % წყალს შეიცავს. დარჩენილი მშრალი ნივთიერება შემდეგნაირად ნაწილდება: შაქრები 2-6 %, აზოტოვანი ნივთიერებები 0,3- 1,0 %, მჟავები 0,05-0,8 %, ნაცარი 0,4-0,8 %.

გოგრა მდიდარია ვიტამინებით, განსაკუთრებით კაროტინით (16-17-დან 38 მგ%), აგრეთვე ვიტამინებით C, B1, B2, E. იგი ძვირფასი დიეტური და სამკურნალო პროდუქტია. რეკომენდირებულია ავადმყოფებისთვის, რომლებსაც აწუხებთ თირკმელები, კუჭი და სისხლძარღვები [80; 81].

უძველესი დროიდან გოგრას უამრავი მიზნისთვის იყენებდნენ. ინდოეთში გათხრების დროს აღმოაჩინეს უძველესი გოგრის თესლი. ჯერ კიდევ მაშინ შეათვასეს ადამიანებმა გოგრის სასარგებლო თვისებები. ძველ საბრძნეთსა და რომში ამ ბალჩეულს ჭურჭლადაც იყენებდნენ. დღეს გოგრამ დაკარგა პოპულარობა [84]. ის ბევრად უგემურმა და სარგებლობას მოკლებულმა კონკურენტებმა შეაფინროვეს. თუმცა უკანასკნელ ხანებში ბევრმა ნახევარფაბრიკატებს, ფასტ-ფუდებს და ნატურალური პროდუქტის ქიმიურ შემცველებებს კვლავ ბუნებრივი და ჯანსაღი საკვები ამჯობინეს.

ნელ-ნელა ისევ აქტუალური ხდება ბუნებრივი საკვების მოხმარება. გოგრა არა მარტო ჯანმრთელი საკვები პროდუქტია, არამედ ფორმის შესანარჩუნებელი საუკეთესო საშუალებაცაა. ის შეიცავს დიდი რაოდენობით კალციუმს, მაგნიუმს, რკინას, შაქარს, ასევე ვიტამინებს C, B, PP, B2, ცილებს, რა თქმა უნდა, კაროტინს და ძალიან იშვიათ ვიტამინ T-ს, რომელიც ანეიტრალებს მძიმე საკვებს [77; 84].

ამიტომაც გოგრას ხშირად მიირთმევენ გარნირად ღორის, ძროხის და სხვა ცხიმოვან ხორცთან. გოგრაში შემავალი E ვიტამინი კი უბრალოდ მონაპოვარია მათთვის, ვისაც სურს, მუდამ ახალგაზრდულად და მომხიბვლელად გამოიყურებოდეს. გოგრას მისი უნიკალური შედგენილობის მიხედვით შესწევს უნარი აიმაღლოს იმუნური სისტემა. ის ადამიანს იცავს სხვადასხვა ვირუსისგან და ბაქტერიისგან, ასევე ამცირებს კიბოს უჯრედების გაჩენის რისკს. PP ვიტამინებს ორგანიზმიდან ტოქსინები და ქოლესტერინი გამოაქვს. რკინის მაღალი შემცველობა კი კანის ბუნებრივ ფერსა და სიჭანსაღებზე ზრუნავს [84; 86].

ჯადოსნური ნარინჯისფერი რბილობის გარდა, გოგრას თესლიც აქვს, რომელსაც ასევე საოცარი სამკურნალო თვისებები აქვს. ალბათ ყველას ეცოდინება ბებიების რეცეპტი, რომელიც ორგანიზმიდან ჭიებს გამოდევნის. დიახ! გოგრის თესლი შეუცვლელია ნაწლავური თერაპიისთვის. მიირთვით დღეში 20-30 ცალი გოგრის თესლი და პარაზიტები აღარ დაგემუქრებიან [85].

„შეიტანეთ ნარინჯისფერი საოცრება თქვენს ყოველდღიურ რაციონში და მუდამ ჯანმრთელნი და მომხიბვლელეები იქნებით“.

**გოგრა** – კულტურა, მოვლა-მოყვანა და ჯიშები. გვარი Cucurbita აერთიანებს რამდენიმე სახეობის გოგრას, აქედან მთელ მსოფლიოში უპირატესად გავრცელებულია გოგრის სამი სახეობა: მაგარკანიანი (*C. pepo* L.), დიდნაყოფა (*C. maxima* Duch.) და მუსკატური (*C. moschata* Duch).

მაგარკანიანი ანუ ხოკერა გოგრა წარმოშობილია ცენტრალური ამერიკის მთიან რაიონებში. მას გოგრის სხვა სახეობებთან შედარებით ჩვენში ყველაზე ხანგრძლივი ისტორია აქვს და მრავალგვარობით არის წარმოდგენილი. მის მრავალფეროვნებას განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში აქვს ადგილი, სადაც ეს სახეობა სხვადასხვა სახელით არის ცნობილი: „ხოკერა-კვახი“ (იმერეთი), „ხაპერა“ (გურია), „ხოპეშია“ (სამეგრელო), სალორე კვახი (რაჭა), „კვახნეს“ (სვანეთი). მაგარ კანიან გოგრას ეკუთვნის აგრეთვე ყაბაყი, პატისონი და კრუკნეკი, ჩვეულებრივი გოგრისაგან განსხვავებით მათ ნაყოფებს ტექნიკურ სიმწიფეში იყენებენ საჭმელად. დიდნაყოფა გოგრა სამხრეთ ამერიკის სტეპიან რაიონებში წარმოშობილი მცენარეა, საიდანაც გავრცელდა ჩრდილოეთ

ამერიკაში, ევროპაში, აზიაში და აფრიკაში. ის ყველა ბალჩეულზე უფრო მრავალფეროვანი და პლასტიკურია, მისი გავრცელების არეალში შედის ფინეთი და შვედეთი [72; 73].

ქართლ-კახეთში მას თათრულ გოგრას უწოდებენ, იმერეთში, რაჭაში და ლეჩხუმში თათრულ კვახს, გურიაში ხაჰს, სამეგრელოში კოპეშიას. მუსკატური გოგრა ცნობილია თათლა-გოგრის, ხურჯინა გოგრის და ბორჩალოური გოგრის სახელწოდებით. საჭმელად იყენებენ გოგრის მწვანე ნაყოფებს. მისგან ამზადებენ შემწვარ და მოხარშულ კერძებს, ფაფებს, ხილფაფას, მურაბას, ჯემს, მარინადებს, პიურეს, წვენს. ჩვენში ზოგან გოგრის ჯყინტ ნაყოფს მთლიანად, გაუნყვეტელ თხელ ფენებად ჭრიან და ისე ახმობენ, რასაც კვახინელას უწოდებენ. გოგრის თესლს ნამცხვრებისა და ჩურჩხელების დასამზადებლად იყენებენ, მოხალულს კი მზესუმზირასავით შეეცევიან. გოგრის თესლი დიდი რაოდენობით შეიცავს ცხიმს (58 %-მდე), აგრეთვე საანტონინს, რომელიც პარაზიტი ჭიების საწინააღმდეგოდ საუკეთესო საშუალებაა.

**გოგრის ბიოლოგიური თავისებურება.** გოგრა ერთწლოვანი მხოხავი ან მხვიარა, გაყოფილ სქესიანი, ერთსახლიანი, ჯვარედინმტვერია მცენარეა. თესლი სახეობის მიხედვით განსხვავებულია ბრტყელია, ოვალური ფორმის, დიდი ზომის; კანი სქელი ან უკანო, მცირედ ან მკვეთრად გამოხატული არშიით ან საერთოდ მის გარეშე.

თესლი შეიძლება იყოს თეთრი, მოყვითალო-თეთრი, მიხაკისებური-თეთრი, მორუხო-თეთრი. აღმოცენების უნარს ინარჩუნებს 6-8 წელი. აქვს მძლავრი ფესვთა სისტემა, რომელიც შედგება ნიადაგში 1-1,7 მ ჩაღრმავებულ მთავარღერძა ფესვისა და გვერდით, დამატებითი ფესვებისაგან. მათი ძირითადი ნაწილი განლაგებულია 40-50 სმ სიღრმეზე, ცალკეულ ფესვებს კი შეუძლიათ გავრცელდნენ 4-5 მ სიღრმეზე. ჰორიზონტალური გვერდითი ფესვები ღეროდან 4-5 მ რადიუსით ვრცელდება. ერთი მცენარის ფესვების საერთო სიგრძე 25კმ-ს აღწევს, ზოგჯერ მცენარის ფესვთა სისტემა 12მ<sup>3</sup> მოცულობის მიწას იკავებს. ღერო გრძელი 4-5მ და უფრო მეტ სიგრძეს აღწევს, რომლისგანაც იწყება პირველი, მეორე და მომდევნო რიგის განტოტვა.

გვხვდება ბუჩქისებური ფორმებიც, რომლებსაც აქვთ კომპაქტური დაბუჩქული ღერო (ყაბაყი, პატისონი), ფოთლები დიდი ზომისაა 25სმ სიგანეში, გრძელი ყუნწებით.

პირველი ფოთლის უბეში ვითარდება ულვაშები და ყვავილები. ყვავილები დიდი ზომისაა, ცალკეულად მსხლომნი, ყვითელი ან ნარინჯისფერი. ჯიშების მიხედვით მდედრობითი ყვავილები მეტად მრავალფეროვანი ფორმისაა. გოგრის ყვავილი ენტომოფილია ძირითადად იმტვერება ფუტკრების მიერ.

გოგრას აქვს დიდი ზომის ნაყოფი, რომელიც არა მარტო დანარჩენ გოგროვნებს აღემატება, არამედ დედამიწაზე არსებულ ყველა მცენარის ნაყოფს. მისი მასა უმთავრესად 4-10 კგ-ია, მაგრამ ცალკეული ნაყოფები 100 კგ-ს აღწევს (დიდნაყოფა გოგრა). გოგრის ფორმა და ფერი მეტად მრავალფეროვანია. ნაყოფის ფორმა შეიძლება იყოს მრგვალი, მობრტყო, ცილინდრული, ელიფსური, კვერცხისებური, ჩალმისებური, ხურჯინისებური, თეფშისებური და სხვ. ნაყოფის ზედაპირი სადაა ან დაკუთხული, დასეგმენტებული, ვარაყიანი ან უვარაყო, მეჭეჭიანი და სხვ. ფერის მიხედვით: ყვითელი, ნარინჯისფერი, წითელი, თეთრი, რუხი, მიხაკისფერი და ა.შ.

გოგრა სითბოს და ტენის მოყვარული მცენარეა. მისი თესლი გაღივებას იწყებს 13-14°C-ზე, მაგრამ აღმოცენებისათვის საუკეთესო ტემპერატურაა 20-25°C. სითბოსადმი განსაკუთრებით მგრძობიარეა სიცოცხლის დასაწყისში, -10°C-ზე მცენარე იღუპება.

